დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით
N04-69 12/07/2021
ცვლილება 04-84 31.08.2021
ცვლილება N04-104 30.09.2021
ცვლილება N04-223 –24.10.2023
ცვლილება N04-36 16.05.2024

სსიპ - „ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი“

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი

2024 წელი

მუხლი 1. *ზოგადი დებულებები*

1.წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტის საფუძველზე და არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პრაგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევით ჩარიცხვის წესსა და პირობებს.

2. ამ წესის (შემდგომში-წესი) მიზანია კოლეჯის მიერ ორგანიზებული შერჩევის შედეგების საფუძველზე, გამოავლინოს ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე შერჩევის წესით ჩარიცხვის უფლებას და პროფესიული ტუდენტის სტატუსს.

მუხლი 2. *ტერმინთა განმარტება.*

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა.

1.შესარჩევი კომისია-დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული- სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია წარმართოს აპლიკანტთა (შემდგომში-აპლიკანტი) შერჩევის პროცესი და მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ.

2.აპლიკანტი-პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიის სტანდარტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს, პროფესიულ ტესტირებაზე, შესარჩევ კონკურსზე გასვლის მიზნებისათვის და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

3.სარეგისტრაციო სისტემა - წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს.

მუხლი 3 პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

1. აპლიკანტთა რეგისტრაცია
2. შერჩევა
3. შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი

მუხლი 4 აპლიკანტთა რეგისტრაცია

1.პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.

2. აპლიკანტის რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტასა და მობილური ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით.

3.აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

4. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

5. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში. ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

6. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, მართვის სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

მუხლი 5. აპლიკანტთა შერჩევა და შერჩევაში მონაწილეობის წინაპირობა

1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.
2. შერჩევაში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტებს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლების დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.

მუხლი 6. აპლიკანტთა შერჩევის წესი (საბაზო/საშუალო და ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე)

1. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, (საბაზო/საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მათ შორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (შემდეგში ინტეგრირებული) რომელიც არეგულირებს:

ა)შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;

ბ)შეფასების მეთოდებს და ეტაპებს;

გ)შეფასების თარიღის შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას.

დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;

ე) აპელაციის წესსა და ვადებს;

ვ) საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;

2.თითოერულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე (საბაზო/საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მათ შორის ინტეგრირებულზე) აპლიკანტთა შეფასების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პერიოდში.

3. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტის გამოცდის თარიღს ემთხვევა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაგეგმილი გამოცდა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ გამოცხადდება კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული შეფასების თარიღით დადგენილ ვადაში,

წარმოდგენილი განცხადებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე, კოლეჯი უზრუნველყოფს აპლიკანტისათვის განსხვავებულ თარიღში შეფასების წესს და პირობებს, შერჩევის პერიოდის დასრულებამდე.

მუხლი 7. აპლიკანტთა შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. კოლეჯი უფლებამოსილია, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შეფასების დამატებითი მექანიზმები (აპლიკანტთა შერჩევა/შეფასება), რომელიც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კოლეჯის მიერ შემუშავებული ამ წესის შესაბამისად.

3. თითოეულ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტთა კოლეჯის მიერ დადგენილი დამატებითი შეფასების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პერიოდში. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.

4.იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და დაწესებულების მიერ დადგენილი დამატებითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს კოლეჯში ჩარიცხვის უფლებას. ხოლო თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ცენრტის მიერ ორგანიზებული ტესტირებისათვის მინიმალური კომპეტენცის ზღვარს, კოლეჯი უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი შესარჩევ კონკურსზე.

5. ცენტრის მიერ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებულ აპლიკანტებს.

6.ტესტირების ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით „ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით.

მუხლი 8. შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

1. შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების *50%* ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ხორციელდება შესაბამისი სახის პროგრამისთვის დადგენილი წესით.
2. პროგრამებისათვის, რომელთა მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების *50%* ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში საკონკურსო კომისია (რომელიც იქმნება დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით) თავის საქმიანობას ახორციელებს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული ტესტიერების ჩატარების დებულებისა" და ამ წესის შესაბამისად;
3. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:
   ა) დამსაქმებელი ორგანიზაციის/ორგანიზაციების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
   ბ) შესაბამისი პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;
   გ) კოლეჯის წარმომადგენელი;
4. კომისიის თავჯდომარედ განისაზღვრება იმ დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი, სადაც განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რეალური სამუშაო გარემოში სწავლება.
5. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში რამდენიმე დამსაქმებლის არსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელი თავად ირჩევენ კომისიის თავჯდომარეს.
6. კომისიის წევრები უშუალოდ ესწრებიან გასაუბრებას, სვავენ წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს, აფასებენ აპლიკანტის პასუხებს წინასწარ მომზადებული შეფასების სქემების მიხედვით.
7. კომისია უფლებამოსილია, თუ კონკურსს ესწრება საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შემავალი არანაკლებ სამი წევრი:
   ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე დამსაქმებელი ორგანიზაციის/ორგანიზაციების წარმომადგენელი/წარმომადგენლები; ბ) შესაბამისი პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;
   გ) პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი;
8. შესარჩევი კონკურსის ფარგლებში დაწესებულება უფლებამოსილია თავად აირჩიოს შერჩევის მეთოდებიდან ერთ-ერთი ან ორივე:
   ა) აპლიკანტების მიერ წერილობითი დავალების შესრულება;
   ბ)აპლიკანტის მიერ საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება.

მუხლი 9. შეფასების თარიღის შესახებ აპლიკანტთა ინფორმირება.

1. კოლეჯი ვალდებულია წინასწარ განსაზღვრული საგამოცდო თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში.
2. კოლეჯი ვალდებულია თითოერულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 10. საგამოცდო კომისიის შემადგენლობა

1. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის შესაჩევ გამოცდასაც ატარებს კოლეჯი და შეფასების ფორმად განსაზღვრულია მოტივაციური გასაუბრება ან შემოქმედებითი ტური, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამათლებრივი აქტით მტკიცდება აპლიკანტთა შერჩების/შეფასების კომისია მინიმუმ 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და ამ წესის შესაბამისად.
2.კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობაში შემავალი არანაკლებ 3 წევრი. კომისის თითოეულ წევრს აქვს აპლიკანტის ერთხელ შეფასების უფლება.

3. კომისიის წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კომისიის თავჯდომარეს.

4. კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ:

ა)პარტნიორი/დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

ბ)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

გ)შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;

დ)შესაბამისი დარგის მიმართულების სხვა მოწვეული პირები.

5.კომისიის მუშაობის ფუნქციებია:

ა) პროგრამის სპეფიციკის გათვალისწინებით აპლიკანტთა შეფასება, აპლიკანტთა შერჩევა;

ბ)კომისიის წევრები აპლიკანტებს აფასებენ კრიტერიუმების/ დავალებების მიხედვით და უწერენ მათ ქულას თითოეული კრიტერიუმში/დავალებაში.

მუხლი 11. აპლიკანტთა შერჩევის ჩატარების ფორმა და პირობები

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2.შერჩევა (მოტივაციური გასაუბრება, ქეისები) ტარდება კოლეჯში ან დისტანციურ რეჟიმში, შესაბამისად გამოყოფილ აუდიტორიაში ან ელექტრონული პლატფორმით. ხოლო შერჩევა შემოქმედებითი ტური ტარდება კოლეჯში გამოყოფილ აუდიტორიაში.

შერჩევის ფორმა - მოტივაციური გასაუბრება (მათ შორის ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში) ;(დანართი 1, დანართი 2);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი შერჩევის/შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

1. აპლიკანტების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით (შეწონილი ქულების გამოთვლის შემდეგ).
   - მოტივაციური გასაუბრება-მაქსიმალური ქულა -100;
   - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - მთლიანი ქულის 25%
   - გასაუბრების შედეგები აისახება აპლიკანტთა შერჩევის/შეფასების ფორმასა და შესაბამის სხდომის ოქმში;

2. თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური შეფასებაა - 4 ქულაა, ხოლო მინიმალური 0 ქულა.
   - 4 ქულა-ძალიან კარგი
   - 0 ქულა-არადამაკმაყოფილებელი

3. შეფასეფასების დასრულების შემდეგ იქმნება აპლიკანტების რეიტინგული სია.

4.აპლიკანტი რომელიც არ გამოცხადდება შერჩევაზე (გასაუბრებაზე) კარგავს ჩარიცხვის უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუ არ წარმოადგენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის დამადასტურებელ ცნობას ან იმავე დღეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩანიშნული გამოცდის შესახებ დამადასტურებელ დოკუმენტს.

5.კოლეჯი, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.

შერჩევის ფორმა - შემოქმედებითი ტური და ქეისები

1. პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამებზე, რომლის შერჩევის ფორმადაც განსაზღვრულია ქეისები, გამოცდა ტარდება ელექტრონულად წინასწარ შედგენილი დავალებების საშუალებით. შეფასების დასრულების შემდეგ დგება აპლიკანტთა რეიტინგული სია.

   ქეისების მაქსიმალური ქულა 100 ქულა.

   მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - მთლიანი ქულის 15%.
2. პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამებზე, რომლის შერჩევის ფორმადაც განსაზღვრულია შემოქმედებითი ტური, შერჩევა ტარდება კოლეჯში.
3. აპლიკანტების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით (შეწონილი ქულების გამოთვლის შემდეგ).
   - შემოქმედებითი ტური-მაქსიმალური ქულა -100;
   - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - მთლიანი ქულის 25 ქულა
   - შემოქმედებითი ტურის შედეგები აისახება აპლიკანტთა შერჩევის/შეფასების ფორმასა და შესაბამის სხდომის ოქმში;
   - აპლიკანტები ფასდებიან ამ წესის დანართი 3-ის შესაბამისად

3. შეფასეფასების დასრულების შემდეგ იქმნება აპლიკანტების რეიტინგული სია.

4.აპლიკანტი რომელიც არ გამოცხადდება შერჩევაზე კარგავს ჩარიცხვის უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუ არ წარმოადგენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის დამადასტურებელ ცნობას ან იმავე დღეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩანიშნული გამოცდის შესახებ დამადასტურებელ დოკუმენტს.

5. კოლეჯი, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.

მუხლი 12. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობები

1. კონკურსში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საგამოცდო ბარათი.
2. შერჩევაზე გამოუცხადებლობა (გამოუცხადებლობის მიზეზების დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობისას) აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს შეფასების სხვა დღეს ჩატარება.
3. აპლიკანტს უფლება აქვს წარმოადგინოს განაცხადი საჩივრის შესახებ.

მუხლი 13. კოლეჯის მიერ ორგანიზებული აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

1. აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილ პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით (ტექნიკური ხასიათის) პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქნება სააპელაციო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.

1.1.კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა)პარტნიორი/დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
ბ)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
გ)შესაბამისი დარგის მიმართულების სხვა მოწვეული პირები.

2. შერჩევის ფარგლებში წარმოშობილ პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სააპელაციო კომისიას შედეგების ცნობებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
3. სააპელაციო კომისიის წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კომისიის თავჯდომარეს და კომისიის სხდომის მდივანს.
4. სააპელაციო კომისიის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში წარდგენილი განცხადება განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 1 დღის ვადაში.

5. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს კომისიის ის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა აპლიკანტის შერჩევაში.

6. სააპელაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

7. სააპელაციო კომისია იღებს შემდეგი ორი სახის გადაწყვეტილებას:

ა) აპლიკანტის პრეტენზიების დაკმაყოფილების შემთხვევაში იღებს ახალ გადაწყვეტილებას და გამოვლენილი ხარვეზებიაისახება სხდომის ოქმში;

ბ) აპლიკანტის პრეტენზიების არ დააკმაყოფილების შემთხვევაში ტოვენს შერჩევის კომისიის (პირვანდელ) გადაწყვეტილებას ძალაში, რომელიც აისახება სხდომის ოქმში

8.სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათათანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერეს კომისიის ყველა წევრი. სააპელაციო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

10. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

მუხლი* 14. *შედეგების გამოცხადება და ჩარიცხვა

1.ამ წესის მე-6 მუხლის მე2 პუნქტის საფუძველზე დადგენილი შერჩევის პერიოდის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მართვის სისტემა უზრუნველყოფს:

ა) კოლეჯისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სარეგისტრაციო სისტემაში, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.

მუხლი* 15. *დაწესებულებაში ჩარიცხვა

1.კოლეჯი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აპლიკანტების პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ, იმ პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

2. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება, აპლიკანტთა მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი რომელიც განსაზღვრავს:

ა)დოკუმენტების წარდგენის ვადებს;

ბ)ჩარიხცვაზე უარის თქმის საფუძველს;

გ)ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და ვადებს;
დ) სხვა საკითხებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.

4. კოლეჯი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

6. ჩარიცხვამდე აპლიკანტი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

5. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

მუხლი 16. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას

1. ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №42/ნ 2021 წლის 2 ივლისი ქ. თბილისი, მუხლი 25, პუნქტი 7).

2. დამატებითი კრიტერიუმი/ პირობები, რომელთა გამოყენებაც დაწესებულებას შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად - თუ პირი არის :
   ა) რომელიმე მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი (მაგ.: სოციალურად დაუცველი ოჯახიდან, მინდობით აღზრდაში მყოფი/მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებიდან/სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული);
   ბ) რეგისტრაციის დრო (თარიღი, საათი, წუთი, წამი).

მუხლი 17.დასკვნითი დებულება

1. ის რაც წინამდებარე წესით არ არის გაწერილი, რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“

2.წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტით.

დანართი 1. მოტივაციური გასაუბრება

აპლიკანტი: სახელი და გვარი _____

1. პროფესიული ცნობისმოყვარეობა						
კანდიდატს აქვს რელევანტური განათლება. გამოირჩევა სამიზნე პროფესიასთან შესაბამისი საგნებისადმი/საკითხებისადმი ინტერესით, იჩენს ინიციატივას; იცის როგორ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროფესიული საკითხების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში, ამ ინფორმაციის სანდოობისა და რელევანტურობის შეფასება შეუძლია.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს რელევანტური განათლება. პროფესიასთან დაკავშირებული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩეოდა. პროფესიულ ცნობისმოყვარეობას არ ავლენს.
2. ინფორმაცია პროფესიის შესახებ						
აპლიკანტი ფლობს ამომწურავ ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.
3. მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება						
აპლიკანტი ავლენს ინტერესს პროფესიისადმი, შესაბამისად, მას აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ფორმალურად ან არაფორმალურად). მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც.	4	3	2	1	0	კანდიდატი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი, შესაბამისად, მას არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/აღჭურვილობის შესახებ.
4. პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები						

კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება როგორც ლოკალურ (თემის/სოფლის/ქალაქის), ასევე ეროვნულ (ქვეყნის/საზოგადოების) კონტექსტში. აცნობიერებს საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში. აპლიკანტის ღირებულებები და თვისებები პროფესიასთან თავსებადია. აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება და თავისი როლი ამ პროფესიაში; არ აქვს ნაფიქრი საკუთარი მახასიათებლების პროფესიასთან შესაბამისობაზე; ინტერვიუს განმავლობაში არ გამოუვლენია პროფესიასთან თავსებადი ღირებულებები; მისი პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილება არ აქვს გააზრებული.

5. პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები						
აპლიკანტი დაინტერესებულია პროფესიის შესწავლით. გაცნობიერებული აქვს თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი; არ აქვს მკაფიო მოლოდინი პროფესიის მიმართ; არ აქვს გაცნობიერებული პროფესიასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები ან სირთულეები; არ აქვს პროფესიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ვერ აანალიზებს საკუთარ ადგილსა და როლს ამ პროფესიაში.
6. კომუნიკაციური უნარ-ჩვევები						

ინტერვიუს განმავლობაში აპლიკანტი ავლენს კარგ საკომუნიკაციო უნარებს; მისი საუბრის მანერა არის მკაფიო და დამაჯერებელი; საუბრობს გასაგებად და ამომწურავად აყალიბებს თავის სათქმელს; კომისიის წევრებთან ინფორმაციის გაცვლის დროს არის ლოგიკური, თანმიმდევრული და კონტექსტს მორგებული. მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში, ახერხებს ჟესტიკულაციით, ემოციებითა ან/და წერილობითი ფორმით მოსაუბრესთან კონტაქტს და სათქმელის გადმოცემას – მისი სხეულის ენა ადეკვატურია. კანდიდატი ყურადღებით უსმენს კომისიის წევრებს, ადეკვატურად რეაგირებს კითხვებზე, უთმობს დროს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზებას; უსვამს მათ დამაზუსტებელ კითხვებს საკითხში უკეთ გასარკვევად და არ აწყვეტინებს საუბარს შეუფერებელ დროს; იქცევა თავაზიანად.	4	3	2	1	0	კანდიდატს უჭირს სათქმელის ჩამოყალიბება; კომისიის წევრებთან ინფორმაციის გაცვლის დროს არის ალოგიკური და დაბნეული, აცდენილია კონტექსტს. მეტყველებასთან დაკავშირებული შეფერხებების შემთხვევაში, ის ვერც ემოციურად, ვერც ჟესტიკულაციითა და ვერც წერილობით ვერ ახერხებს საკუთარი სათქმელის მსმენელისთვის გადაცემას; არ ამყარებს თვალებით კონტაქტს, სხეულის ენა არადამაკმაყოფილებელია. კანდიდატი არ უსმენს კომისიის წევრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. არის ჩუმად, უსვამს მათ არაადეკვატურ კითხვებს ან აწყვეტინებს საუბარს შეუფერებელ დროს; მისალმება-დამშვიდობების დროს არ იჩენს თავაზიანობას.

კომისიის წევრი: სახელი, გვარი, ხელმოწერა _____

დანართი 2. მოტივაციური გასაუბრება ინტეგრირებული პროგრამისთვის

აპლიკანტი: _____

1. ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის მოტივაცია და მზაობა						
აპლიკანს გაცნობიერებული და ინფორმირებული გადაწყვეტილება აქვს მიღებული ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩაბარებასთან დაკავშირებით: ის ფლობს საფუძვლიან ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების მიზნებისა და შედეგების შესახებ, ფლობს ინფორმაციას პროგრამის ხანგრძლივობისა და სასწავლო გრაფიკის შესახებ, იცის, დაახლოებით რომელი სასკოლო საგნების სწავლება მოუწევს პროგრამის ფარგლებში და სრულიად გამოთქვამს მზაობას, პროფესიის მიღების პარალელურად დაეფლოს სრულ ზოგად განათლებას და აღნიშნული მიზნის მისაღწევად მზად არის 3 წლიანი პროგრამის გავლისთვის. აპლიკანტი ასაბუთებს, რაში გამოიყენებს სამომავლოდ პროფესიის დიპლომთან ერთად სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამის შესახებ და მისი გადაწყვეტილება პროგრამაზე ჩაბარებასთან დაკავშირებით გაუცნობიერები და არაინფორმირებულია. აპლიკანტი ვერ ხვდება, რა განსხვავებაა ინტეგრირებულ და სხვა ტიპის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შორის. არ იცის, რა სასკოლო საგნების გავლა მოუწევს პროგრამის ფარგლებში და რა ხანგრძლივობის არის პროგრამა. აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას, რა ტიპის დიპლომს მიიღებს პროგრამის დასრულების შემდეგ და შესაბამისად, ვერ ასაბუთებს, რაში გამოიყენებს მომავალში პროფესიის დიპლომთან ერთად მიღებულ ატესტატს. აპლიკანტი არ/ვერ გამოხატავს მზაობას, დაუთმოს დრო და ენერგია 3 წლიან პროგრამას.
2. პროფესიული ცნობისმოყვარეობა						
კანდიდატს აქვს რელევანტური განათლება. გამოირჩევა სამიზნე პროფესიასთან შესაბამისი საგნებისადმი / საკითხებისადმი ინტერესით, იჩენს ინიციატივას; იცის როგორ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროფესიული საკითხების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში, ამ ინფორმაციის სანდოობისა და რელევანტურობის შეფასება შეუძლია.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს რელევანტური განათლება. პროფესიასთან დაკავშირებული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩეოდა. პროფესიულ ცნობისმოყვარეობას არ ავლენს.
3. ინფორმაცია პროფესიის შესახებ						
აპლიკანტი ფლობს ამომწურავ ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.
4. მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება						

აპლიკანტი ავლენს ინტერესს პროფესიისადმი, შესაბამისად, მას აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ფორმალურად ან არაფორმალურად). მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც.	4	3	2	1	0	კანდიდატი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი, შესაბამისად, მას არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/აღჭურვილობის შესახებ.
5. პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები						
კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება როგორც ლოკალურ (თემის/სოფლის/ქალაქის), ასევე ეროვნულ (ქვეყნის/საზოგადოების) კონტექსტში. აცნობიერებს საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში. აპლიკანტის ღირებულებები და თვისებები პროფესიასთან თავსებადია. აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება და თავისი როლი ამ პროფესიაში; არ აქვს ნაფიქრი საკუთარი მახასიათებლების პროფესიასთან შესაბამისობაზე; ინტერვიუს განმავლობაში არ გამოუვლენია პროფესიასთან თავსებადი ღირებულებები; მისი პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილება არ აქვს გააზრებული.
6. პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები						
აპლიკანტი დაინტერესებულია პროფესიის შესწავლით. გაცნობიერებული აქვს თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა თუ უნარჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი; არ აქვს მკაფიო მოლოდინი პროფესიის მიმართ; არ აქვს გაცნობიერებული პროფესიასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები ან სირთულეები; არ აქვს პროფესიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ვერ აანალიზებს საკუთარ ადგილსა და როლს ამ პროფესიაში.
7. კომუნიკაციური უნარ-ჩვევები						

ინტერვიუს განმავლობაში აპლიკანტი ავლენს კარგ საკომუნიკაციო უნარებს; მისი საუბრის მანერა არის მკაფიო და დამაჯერებელი; საუბრობს გასაგებად და ამომწურავად აყალიბებს თავის სათქმელს; კომისიის წევრებთან ინფორმაციის გაცვლის დროს არის ლოგიკური, თანმიმდევრული და კონტექსტს მორგებული. მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში, ახერხებს ჟესტიკულაციით, ემოციებითა ან/და წერილობითი ფორმით მოსაუბრესთან კონტაქტს და სათქმელის გადმოცემას – მისი სხეულის ენა ადეკვატურია. კანდიდატი ყურადღებით უსმენს კომისიის წევრებს, ადეკვატურად რეაგირებს კითხვებზე, უთმობს დროს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზებას; უსვამს მათ დამაზუსტებელ კითხვებს საკითხში უკეთ გასარკვევად და არ აწყვეტინებს საუბარს შეუფერებელ დროს; იქცევა თავაზიანად.	4	3	2	1	0	კანდიდატს უჭირს სათქმელის ჩამოყალიბება; კომისიის წევრებთან ინფორმაციის გაცვლის დროს არის ალოგიკური და დაბნეული, აცდენილია კონტექსტს. მეტყველებასთან დაკავშირებული შეფერხებების შემთხვევაში, ის ვერც ემოციურად, ვერც ჟესტიკულაციითა და ვერც წერილობით ვერ ახერხებს საკუთარი სათქმელის მსმენელისთვის გადაცემას; არ ამყარებს თვალებით კონტაქტს, სხეულის ენა არადამაკმაყოფილებელია. კანდიდატი არ უსმენს კომისიის წევრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. არის ჩუმად, უსვამს მათ არაადეკვატურ კითხვებს ან აწყვეტინებს საუბარს შეუფერებელ დროს; მისალმება-დამშვიდობების დროს არ იჩენს თავაზიანობას.

კომისიის წევრი: _____

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი პროგრამა - სამკერვალო წარმოება
აპლიკანტთა საგამოცდო საკითხები

1. მოტივაციური გასაუბრება აპლიკანტთან.

დრო 10 წუთი

აპლიკანტს ვიღებთ ინდივიდუალურად

1. პროფესიული ცნობისმოყვარეობა						
კანდიდატს აქვს რელევანტური განათლება. გამოირჩევა სამიზნე პროფესიასთან შესაბამისი საგნებისადმი/საკითხებისადმი ინტერესით, იჩენს ინიციატივას; იცის როგორ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროფესიული საკითხების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში, ამ ინფორმაციის სანდოობისა და რელევანტურობის შეფასება შეუძლია.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს რელევანტური განათლება. პროფესიასთან დაკავშირებული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩეოდა. პროფესიულ ცნობისმოყვარეობას არ ავლენს.
2. ინფორმაცია პროფესიის შესახებ						

აპლიკანტი ფლობს ამომწურავ ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.
3. მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება						
აპლიკანტი ავლენს ინტერესს პროფესიისადმი, შესაბამისად, მას აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი საგნებისადმი/საკითხებისადმი ინტერესი; მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც.	4	3	2	1	0	კანდიდატი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი, შესაბამისად, მას არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/აღჭურვილობის შესახებ.
4. პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები						
კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება როგორც ლოკალურ (თემის/სოფლის/ქალაქის), ასევე ეროვნულ (ქვეყნის/საზოგადოების) კონტექსტში. აცნობიერებს	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება და თავისი როლი ამ პროფესიაში; არ აქვს ნაფიქრი საკუთარი მახასიათებლების პროფესიასთან შესაბამისობაზე; ინტერვიუს განმავლობაში არ გამოუვლენია პროფესიასთან თავსებადი

საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში. აპლიკანტის ღირებულებები და თვისებები პროფესიასთან თავსებადია. აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე.						ღირებულებები; მისი პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილება არ აქვს გააზრებული.

2. *მათემატიკური და სივრცითი უნარების შემოწმება.*
   დრო 10 წუთი
   აპლიკანტს ვიღებთ ინდივიდუალურად

კრიტერიუმები:

აპლიკანტი მითითებული 6 გეომეტრიული ფიგურიდან მინიმუმ 5-ს სწორად ასახელებს	3 ქულა
აპლიკანტი მითითებული 6 გეომეტრიული ფიგურიდან სწორად ასახელებს მინიმუმ 3-ს	2 ქულა
აპლიკანტი მითითებული 6 გეომეტრიული ფიგურიდან სწორად ასახელებს მაქსიმუმ 2-ს	1 ქულა
აპლიკანტი ვერვერთ გეომეტრიულ ფიგურას სწორად ვერ ასახელებს	0 ქულა

აპლიკანტი მითითებული 6 გეომეტრიული ფიგურიდან მინიმუმ 5-ს სწორად ხაზავს	3 ქულა
აპლიკანტი მითითებული 6 გეომეტრიული ფიგურიდან სწორად ხაზავს მინიმუმ 3-ს	2 ქულა
აპლიკანტი მითითებული 6 გეომეტრიული ფიგურიდან სწორად ხაზავს მაქსიმუმ 2-ს	1 ქულა
აპლიკანტი ვერვერთ გეომეტრიულ ფიგურას ვერ ხაზავს სწორად	0 ქულა

3. აპლიკანტის შემოქმედებითი უნარების შემოწმება

დრო 1 საათი

აპლიკანტებს ვიღებთ ჯგუფურად.

დავალება 1: თქვენი ფანტაზიის მიხედვით, წინასწარ დამზადებული საყელო ან ჩანთა, გააფორმეთ აქსესუარებით (თვლებით, ბისერებით, მძივებით).

შეფასების სქემა
მაქსიმალური: 10 ქულა

კრეატიულობა - 3 ქულა

3 ***ქულა*** - აპლიკანტის იდეა გამორჩეული და ორიგინალურია, ნამუშევარიდან ჩანს, რომ იგი სრული სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალებას, პროდუქტი მიმზიდველია;

2 ქულა - აპლიკანტის იდეა შესაძლებელია გამორჩეულად და ორიგინალურად ჩაითვალოს, ნამუშევარიდან ჩანს, რომ იგი ნაკლები სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალებას, საბოლოო ჯამში პროდუქტი მიმზიდველია;

1 ქულა - აპლიკანტის იდეა ვერ ჩაითვლება გამორჩეულად და ორიგინალურად, ნამუშევარიდან ჩანს, რომ იგი არასერიოზულად და ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალებას, პროდუქტს აკლია მიმზიდველობა;

0 ***ქულა*** - ნამუშევრიდან ჩანს, რომ აპლიკანტი არასერიოზულად მოეკიდა დავალებას, იდეა არაფრითაა გამორჩეული/დავალება საერთოდ არ არის შესრულებული.

გასაწყობი მასალის შერჩევა და ფერთა შეხამება - 4 ქულა

4 ქულა - აპლიკანტის მიერ გასაწყობი მასალა სათანადოდაა შერჩეული, ნამუშევარი ზუსტად და აკურატულადაა შესრულებული, ნამუშევრიდან ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს ფერისა და სტილის შეგრძნება;
3 ქულა - აპლიკანტის მიერ გასაწყობი მასალა სათანადოდაა შერჩეული, ფერები კარგადაა შეხამებული, მაგრამ ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;
2 ქულა - აპლიკანტმა დაუშვა შეცდომა გასაწყობი მასალის შერჩევში, თუმცა ფერების შეხამება მისაღებია, ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;
1 *ქულა* - გასაწყობი მასალა არასწორადაა შერჩეული, ფერები არ არის სათანადოდ შეხამებული, ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;
0 *ქულა* - შესრულებული ნამუშევარი არ პასუხობს დავალების პირობას/დავალება საერთოდ არ არის შესრულებული.

დროის მართვა - 3 ქულა

3 ქულა - აპლიკანტმა ეფექტიანად გამოიყენა დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო, დავალება სრულყოფილად შეასრულა განსაზღვრულ დროში, კარგად ჩანს აპლიკანტის იდეა და ჩანაფიქრი;
2 ქულა - აპლიკანტმა მეტნაკლებად ეფექტიანად გამოიყენა დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო, ვერ მოახერხა დავალების სრულყოფილად შესრულება განსაზღვრულ დროში, ვერ შეძლო თავისი იდეისა და ჩანაფიქრის სათანადოდ გადმოცემა;
1 ქულა - აპლიკანტმა ვერ შეძლო დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება, პრაქტიკულად ვერ მოახერხა დავალების განსაზღვულ დროში შესრულება, ჭირს აპლიკანტის იდეისა და ჩანაფიქრის დანახვა ავტორის ახსნა-განმარტების გარეშე დამოუკიდებლად;
0 *ქულა* - აპლიკანტმა ვერ შეძლო დავალების შესრულება მისთვის გამოყოფილ დროში, ნამუშევარი ისეთ ეტაპზეა, რომ შეუძლებელია იდეისა და ჩანაფიქრის ამოცნობა / დავალება საერთოდ არ არის შესრულებული.

დავალება 2: იმუშავეთ მულიაჟური მეთოდით, ქალის მანეკენზე თქვენი შეხედულებისამებრ სასურველი ქსოვილებით და ქინძისთავებით შექმენით ქალის სამოსის სილუეტი.

შეფასების სქემა
მაქსიმალური: 10 ქულა

კრეატიულობა - 3 ქულა

3 *ქულა* - აპლიკანტის იდეა გამორჩეული და ორიგინალურია, ნამუშევარიდან ჩანს, რომ იგი სრული სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალებას, პროდუქტი მიმზიდველია;
2 ქულა - აპლიკანტის იდეა შესაძლებელია გამორჩეულად და ორიგინალურად ჩაითვალოს, ნამუშევარიდან ჩანს, რომ იგი ნაკლები სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალებას, საბოლოო ჯამში პროდუქტი მიმზიდველია;
1 ქულა - აპლიკანტის იდეა ვერ ჩაითვლება გამორჩეულად და ორიგინალურად, ნამუშევარიდან ჩანს, რომ იგი არასერიოზულად და ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალებას, პროდუქტს აკლია მიმზიდველობა;
0 *ქულა* - ნამუშევრიდან ჩანს, რომ აპლიკანტი არასერიოზულად მოეკიდა დავალებას, იდეა არაფრითაა გამორჩეული/დავალება საერთოდ არ არის შესრულებული.

ქსოვილისა და გასაწყობი მასალის შერჩევა - **2** *ქულა*

4 ქულა - აპლიკანტის მიერ ქსოვილი და გასაწყობი მასალა სათანადოდაა შერჩეული, ნამუშევარი ზუსტად და აკურატულადაა შესრულებული.
3 ქულა - აპლიკანტის მიერ ქსოვილი და გასაწყობი მასალა სათანადოდაა შერჩეული, ფერები, მაგრამ ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;
2 ქულა - აპლიკანტმა დაუშვა შეცდომა ქსოვილის შერჩევისას, თუმცა გასაწყობი მასალა შედარებით სწორად შეარჩია, ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;
1 *ქულა* - ქსოვილი და გასაწყობი მასალა არასწორადაა შერჩეული, ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;
0 *ქულა* - შესრულებული ნამუშევარი არ პასუხობს დავალების პირობას/დავალება საერთოდ არ არის შესრულებული.

დროის მართვა - 3 ქულა

3 ქულა - აპლიკანტმა ეფექტიანად გამოიყენა დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო, დავალება სრულყოფილად შეასრულა განსაზღვრულ დროში, კარგად ჩანს აპლიკანტის იდეა და ჩანაფიქრი;
2 ქულა - აპლიკანტმა მეტნაკლებად ეფექტიანად გამოიყენა დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო, ვერ მოახერხა დავალების სრულყოფილად შესრულება განსაზღვრულ დროში, ვერ შეძლო თავისი იდეისა და ჩანაფიქრის სათანადოდ გადმოცემა;
1 ქულა - აპლიკანტმა ვერ შეძლო დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება, პრაქტიკულად ვერ მოახერხა დავალების განსაზღვულ დროში შესრულება, ჭირს აპლიკანტის იდეისა და ჩანაფიქრის დანახვა ავტორის ახსნა-განმარტების გარეშე დამოუკიდებლად;
0 *ქულა* - აპლიკანტმა ვერ შეძლო დავალების შესრულება მისთვის გამოყოფილ დროში, ნამუშევარი ისეთ ეტაპზეა, რომ შეუძლებელია იდეისა და ჩანაფიქრის ამოცნობა / დავალება საერთოდ არ არის შესრულებული.

სილუეტზე სამოსის მორგება (მაქსიმალური: 2 ქულა):

2 *ქულა*- მოდელზე სამოსი მორგებულა სწორი განლაგებით; კარგად ჩანს აპლიკანტის შემოქმედებითობა.

1 *ქულა*- მოდელზე სამოსი უმეტესწილად მორგებულია სწორი განლაგებით; ჩანს, რომ აპლიკანტს შეუძლია იყოს შემოქმედებითი, რასაც მის მიერ შექმნილი სილუეტის მინიმუმ 2 გამართული დეტალი ადასტურებს.

0 *ქულა*- მოდელზე სამოსი არ არის შესაბამისად მორგებული. არ ჩანს აპლიკანტის შემოქმედებითობა.

დავალება 3. გააკეთეთ ქალის სამოსის ჩანახატი, აუცილებლად გამოიყენეთ ფერადი ფანქრები.

შეფასების სქემა
მაქსიმალური: 10 ქულა

კრეატიულობა - 3 ქულა

3 *ქულა* - აპლიკანტის იდეა გამორჩეული და ორიგინალურია, ნამუშევარიდან ჩანს, რომ იგი სრული სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალებას, პროდუქტი მიმზიდველია;
2 ქულა - აპლიკანტის იდეა შესაძლებელია გამორჩეულად და ორიგინალურად ჩაითვალოს, ნამუშევარიდან ჩანს, რომ იგი ნაკლები სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალებას, საბოლოო ჯამში პროდუქტი მიმზიდველია;
1 ქულა - აპლიკანტის იდეა ვერ ჩაითვლება გამორჩეულად და ორიგინალურად, ნამუშევარიდან ჩანს, რომ იგი არასერიოზულად და ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალებას, პროდუქტს აკლია მიმზიდველობა;
0 *ქულა* - ნამუშევრიდან ჩანს, რომ აპლიკანტი არასერიოზულად მოეკიდა დავალებას, იდეა არაფრითაა გამორჩეული/დავალება საერთოდ არ არის შესრულებული.

ფერთა შეხამება - 4 ქულა

4 ქულა - აპლიკანტის ნამუშევარი ზუსტად და აკურატულადაა შესრულებული, ნამუშევრიდან ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს ფერისა და სტილის შეგრძნება;
3 ქულა - აპლიკანტს ნამუშევარში ფერები კარგადაა შეხამებული, მაგრამ ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;
2 ქულა - აპლიკანტის ფერების შეხამება მისაღებია, ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;
1 *ქულა* - ფერები არ არის სათანადოდ შეხამებული, ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;
0 *ქულა* - შესრულებული ნამუშევარი არ პასუხობს დავალების პირობას/დავალება საერთოდ არ არის შესრულებული.

დროის მართვა - 3 ქულა

3 ქულა - აპლიკანტმა ეფექტიანად გამოიყენა დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო, დავალება სრულყოფილად შეასრულა განსაზღვრულ დროში, კარგად ჩანს აპლიკანტის იდეა და ჩანაფიქრი;
2 ქულა - აპლიკანტმა მეტნაკლებად ეფექტიანად გამოიყენა დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო, ვერ მოახერხა დავალების სრულყოფილად შესრულება განსაზღვრულ დროში, ვერ შეძლო თავისი იდეისა და ჩანაფიქრის სათანადოდ გადმოცემა;
1 ქულა - აპლიკანტმა ვერ შეძლო დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება, პრაქტიკულად ვერ მოახერხა დავალების განსაზღვულ დროში შესრულება, ჭირს აპლიკანტის იდეისა და ჩანაფიქრის დანახვა ავტორის ახსნა-განმარტების გარეშე დამოუკიდებლად;

0 ***ქულა*** - აპლიკანტმა ვერ შეძლო დავალების შესრულება მისთვის გამოყოფილ დროში, ნამუშევარი ისეთ ეტაპზეა, რომ შეუძლებელია იდეისა და ჩანაფიქრის ამოცნობა / დავალება საერთოდ არ არის შესრულებული.

1. *პრაქტიკული მოსინჯვის დაგეგმვის ფორმა* [1]

ფორმა ივსება პრაქტიკული მოსინჯვის დაგეგმვის მიზნით. პრაქტიკული მოსინჯვის გეგმას ერთობლივად ადგენენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის ასისტენტი (აღნიშნული სპეციალისტების არსებობის შემთხვევაში), პროფესიული განათლების მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის წევრი. აპლიკანტისთვის პრაქტიკული მოსინჯვის გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნის შედეგები. ფორმა ივსება ყველა პრიორიტეტული პროფესიული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

აპლიკანტის სახელი, გვარი: აპლიკანტის პ/ნ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება:

ფორმა შეავსო *(მიუთითეთ სახელი, გვარი და პოზიცია):* ფორმის შევსების თარიღი ----/-

---/------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პრაქტიკული მოსინჯვა:

ფაქტორი	***განმარტება*** [2]	***ინფორმაცია***
პროფესიული პროგრამის მოსინჯვისთვის არჩეული საქმიანობა	✓ საქმიანობა, რომელიც პრაქტიკული მოსინჯვისთვის შეირჩა ✓ მოკლედ აღწერეთ საქმიანობა და პროფესიისთვის ამ საქმიანობის მნიშვნელობა, რატომ შეირჩა ეს კონკრეტული საქმიანობა/აქტივობა	
პიროვნება	▯ აპლიკანტის შესახებ გასათვალისწინებელი ინფორმაცია (ექსპერტთა გუნდის დასკვნის მიხედვით)	
გამოყენებული საგნები და მათი თვისებები	▯ აღწერეთ იარაღები/მასალა და აღჭურვილობა, რაც ამ საქმიანობის განსახორციელებლად გამოიყენება/არის საჭირო ▯ დამატებითი ან/და ადაპტური აღჭურვილობა, რომელიც აპლიკანტის საჭიროებით არის განპირობებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
სივრცის მოთხოვნები	▯ აღწერეთ გარემო, რომელიც საჭიროა/დამახასიათებელია საქმიანობის განხორციელებისთვის (მაგ.: საჭირო სივრცე; ავეჯის/აღჭურვილობის განლაგება;	

[1] მოცემული ფორმა ივსება ელექტრონულად

	განათება/ვიზუალური მახასიათებლები; აუდიო მახასიათებლები; შესაძლო ხელის შემშლელი ფაქტორები და მათი თავიდან არიდების აუცილებლობა და სხვა)	
ადამიანური რესურსი	▯ განსაზღვრეთ ადამიანური/პროფესიული რესურსი (მაგ.: ჟესტური ენის თარჯიმანი, ასისტენტი) რომელიც პრაქტიკული მოსინჯვისას აპლიკანტისთვის არის საჭირო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	
უსაფრთხოება	▯ აღწერეთ საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური რისკი/ები და მათი თავიდან აცილების გზები	
თანმიმდევრობა და დრო *(მაქსიმუმ 45 წთ.)*	▯ დაყავით საქმიანობა არაუმეტეს 10 ამოცანად/ნაბიჯად/მოქმედებად *(გამოიყენეთ ზმნები).* ▯ აღნიშნეთ ნაბიჯების თანმიმდევრობა და თითოეული ნაბიჯის განხორციელებისთვის საჭირო დრო;	

2. *პრაქტიკული მოსინჯვის პროცესზე დაკვირვების ფორმა*

ფორმას ავსებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და/ან სასწავლო პროცესის ასისტენტი და/ან მულტიდისციპლინური გუნდის წევრი აპლიკანტის პრაქტიკული მოსინჯვის პროცესზე დაკვირვებისას (თითოეული პრაქტიკული მოსინჯვისთვის ივსება ცალ-ცალკე ფორმა)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

აპლიკანტის პ/ნ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პრაქტიკული მოსინჯვა:

საქმიანობა/აქტივობა, რომლის პრაქტიკული მოსინჯვაც ხორციელდება:

პრაქტიკული მოსინჯვის ხანგრძლივობა:

პრაქტიკული მოსინჯვის თარიღი:

ფორმის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი *(მიუთითეთ სახელი, გვარი, პოზიცია)*:

დაკვირვების საკითხები	*სრულად ვლინდება*	*ვლინდება*	*ნაწილობრივ ვლინდება*	*არ ვლინდება*	*სრულიად არ ვლინდება*	***კომენტარი*** *(გთხოვთ, ყველა ასპექტთან მიმართებით გააკეთოთ აღწერითი ჩანაწერიც)*
1. ინსტრუქციების/ 2. მითითებების გაგება/შესრულება						
3. დახმარების გამოყენება *(კომენტარში დააზუსტეთ თუ რომელი ტიპის დახმარებას იყენებს)*						
4. უკუკავშირის გათვალისწინება						
5. ხელსაწყოების/ 6. მოწყობილობის დანიშნულებისამებრ გამოყენება						
7. უსაფრთხოების დაცვა						
8. მოქმედებების თანმიმდევრობის დაცვა						
9. ამოცანის/დავალების ბოლომდე მიყვანა						
10. აკურატულობა						
11. შესრულების ტემპის რეგულაცია						

12. ფსიქიკური გამძლეობა						
13. ფიზიკური გამძლეობა						
14. კითხვების დასმა/ დახმარების/უკუკავშირის მოთხოვნა						
15. შესრულების მოტივაცია/ინტერესი						
16. ინიციატივის გამოვლენა						
17. ემოციების სათანადოდ გამოვლენა და მართვა						
18. ყურადღების მართვა						
დამატებითი კომენტარები: *(პრაქტიკული მოსინჯვისას გამოვლენილი სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია)*						

2.1. ***პრაქტიკული მოსინჯვა შემდეგი თანმიმდევრობით განხორციელდა:***

1. პროფესიული პროგრამა:
2. პროფესიული პროგრამა:
3. პროფესიული პროგრამა:

აპლიკანტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროფესიული ტესტირების გაგრძელებასთან დაკავშირებით
(ივსება იმ შემთხვევაში, თუ არსებობდა ერთზე მეტი პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა)

გადაწყვეტილება	მონიშნეთ √
1. პირველი პრაქტიკული მოსინჯვის შემდეგ შეწყვეტა (პირველი პროფესიული პროგრამა)	
2. გადასვლა მეორე პრაქტიკულ მოსინჯვაზე (მეორე პროფესიულ პროგრამაზე)	
3. მეორე პრაქტიკული მოსინჯვის შემდეგ შეწყვეტა	
4. გადასვლა მესამე პრაქტიკულ მოსინჯვაზე (მესამე პროფესიულ პროგრამაზე)	

3. ***სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პრაქტიკულ მოსინჯვასთან დაკავშირებული საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი[3] N***

შეხვედრის მიზანი: *პრაქტიკული მოსინჯვის შედეგების განხილვა და აპლიკანტის კონსულტირება უპირატესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასადგენად*

აპლიკანტის სახელი, გვარი ---------- აპლიკანტის პ/ნ ----------
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ----------
შეხვედრის თარიღი -------/-------/----------

3.1. ***აპლიკანტის მიერ განხორციელებული პრაქტიკული მოსინჯვის შეფასება***

[3] ოქმი ივსება პრაქტიკული მოსინჯვის საკონსულტაციო შეხვედრის ეტაპზე. რეკომენდებულია, რომ ოქმი შეავსოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტმა ან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა

პრაქტიკული მოსინჯვის შემდეგ, ერთობლივად ივსება პროფესიული განათლების მასწავლებლის და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და მულტიდისციპლინური გუნდის წევრის მიერ (საჭიროების შემთხვევაში) და სასწავლო პროცესის ასისტენტის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აღწერს აპლიკანტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს და დამოუკიდებლობის ხარისხს (შეფასება ხორციელდება თითოეულ პროფესიულ პროგრამასთან/მოსინჯულ საქმიანობასთან/აქტივობასთან მიმართებით ცალ-ცალკე).

აპლიკანტის მიერ პრაქტიკული მოსინჯვის პროცესში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების შეჯამება *(გაამახვილეთ ყურადღება შესრულების ხარისხზე, დამოუკიდებლობის ხარისხზე და აპლიკანტის მოტივაცია/ინტერესზე კონკრეტული საქმიანობის მიმართ).*	
ძლიერი მხარეები	*სუსტი მხარეები*

3.2. ***სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის რეფლექსია განხორციელებულ პრაქტიკული მოსინჯვის პროცესზე***

(დასვით შემდეგი კითხვები: რას ფიქრობ ამ საქმიანობაზე? რის კეთება მოგეწონა ყველაზე მეტად? არის ისეთი რამ, რაც არ მოგეწონა ან რის კეთებაც გაგიჭირდა? გინდა ამ საქმიანობის კიდევ შესრულება? და ა.შ.). აპლიკანტი რეფლექსიას აკეთებს თითოეულ მოსინჯულ საქმიანობასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეები:

სახელი, გვარი	*პოზიცია*	*მობ. ტელეფონი/ ელ. ფოსტა*	*ხელმოწერა*

შეხვედრის წამყვანი (მიუთითეთ სახელი, გვარი, პოზიცია):

საკონსულტაციო შეხვედრის შეჯამება

აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (იწერება მხოლოდ საბოლოო არჩევანი)

პრაქტიკული მოსინჯვის გუნდის/კომისიის წევრების მიერ წარდგენილი შედეგები და რეკომენდაციები აპლიკანტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით

(იმ შემთხვევაში, თუ გუნდის/კომისიის მიერ არ ხდება აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის რეკომენდაციის გაწევა, გთხოვთ, წარმოადგინოთ შესაბამისი მიზეზები/არგუმენტები).

პრაქტიკული მოსინჯვის გუნდის/კომისიის წევრების ხელმოწერები:

სახელი, გვარი	*პოზიცია*	*ხელმოწერა*

ოქმის მწარმოებლის სახელი და გვარი:

პოზიცია:

თარიღი: